

კონკურსის დებულება

მულტიმედიური პროექტების კონკურსი „გაკვეთილი აფხაზეთი“ 2025წ

კონკურსი იმართება ააიპ აფხაზეთის ა/რ საინფორმაციო -ანალიტიკური ცენტრის ინიციატივით და მიზნად ისახავს აფხაზეთის თემატიკის მიმართ მოსწავლეთა ჩართულობის გაზრდას .

კონკურსის მიზნები

- მოსწავლეების ცოდნის გაღრმავება აფხაზეთის ისტორიის, ა/რ არსებული კულტურული მემკვიდრეობის, 1992-1993 წლების კონფლიქტისა და ომის გმირების შესახებ;
- ახალგაზრდული კრეატიულობისა და კრიტიკული აზროვნების წახალისება;
- სამშვიდობო განათლების მხარდაჭერა;

მონაწილეები

კონკურსში მონაწილეობა შეუძლიათ:

- საქართველოს საჯარო და კერძო სკოლების IX–XI კლასის მოსწავლეებს;
- ნამუშევარი უნდა მომზადდეს სკოლის სახელით (ინდივიდუალური და ჯგუფური მონაწილეობა დაშვებულია).

საკონკურსო ნამუშევრები ნამუშევრები მიიღება შემდეგ ფორმატებში:

- ვიდეო (მოკლემეტრაჟიანი, დოკუმენტური, შემეცნებითი ან ანიმაციური);
- პრეზენტაცია (PowerPoint, Google Slides ან მსგავსი);
- ფოტოსტორია;
- პოდკასტი.

ძირითადი მოთხოვნები:

- ნამუშევარი უნდა ეხებოდეს აფხაზეთის თემატიკას (ისტორია, კულტურა, კონფლიქტი, მემკვიდრეობა, მშვიდობა და ნდობის აღდგენა);

ნამუშევრის ხანგრძლივობა/ზომა:

- ვიდეო — მაქს. 10 წუთი;
- პრეზენტაცია — მაქს. 30 სლაიდი;
- პოდკასტი — მაქს. 10წ
- ფოტოსტორია — მაქს. 10 ფოტო და მოკლე ტექსტური აღწერა;
- ნამუშევარი უნდა იყოს ავტორის (ან ჯგუფის) ორიგინალური და არ არღვევდეს საავტორო უფლებებს.

შეფასების კრიტერიუმები

ორიგინალურობა — 40 ქულა;

ინფორმაციულობა და სიღრმე — 40 ქულა;

ვიზუალური/ტექნიკური ხარისხი — 20 ქულა;

ქიური

ნამუშევრებს შეაფასებს კომპეტენტური ჟიური, რომელიც დაკომპლექტდება ისტორიკოსების, პედაგოგების, ჟურნალისტებისა და კულტურის სფეროს წარმომადგენლებისგან.

დაჯილდოება

- I ადგილი — [პრიზი]
- II ადგილი — [პრიზი]
- III ადგილი — [პრიზი]

ყველა მონაწილე მიიღებს სერტიფიკატს.

ვადები

- ნამუშევრების მიღება: 2025 წლის 1 სექტემბრიდან - 2025 წლის 20 ნოემბრამდე
- შერჩევა და შეფასება: 20 ნოემბრიდან - 5 დეკემბრამდე
- პრეზენტაცია და დაჯილდოება: 7 დეკემბრიდან - 22 დეკემბრის რიცხვებში.

საკონტაქტო ინფორმაცია

ნამუშევრები უნდა გაიგზავნოს შემდეგ ელფოსტაზე: infoabkhazia@gmail.com

დამატებითი ინფორმაციისთვის ეწვიეთ ვებგვერდს www.abkhazia-info.com ან დარეკეთ ნომერზე 599097309